სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10
2016 წლის 31 მაისი

ქ. სიღნაღი

საქართველოს კანონის ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყრის და სხვა) ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძვლის ცნობის (განკარგულების) გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მესამე პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ,,საქართველოს კანონის საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყრის და სხვა) ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძვლის ცნობის (განკარგულების) გაცემის წესი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს კანონის ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის სტიქიის (გვალვის) შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძვლის, ცნობის (განკარგულების) გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 3 ოქტომბრის №36 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 10/10/2014 , 010250050.35.168.016134)“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გოჩა ტოკლიკიშვილი**

დანართი

საქართველოს კანონის ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყრის და სხვა) ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძვლის ცნობის (განკარგულების) გაცემის წესი

ეს წესი ვრცელდება ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყრის და სხვა) ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევებზე .

მუხლი 1

საკრებულოს მიერ ცნობის (განკარგულების) გაცემის საფუძვლად განისაზღვროს საკრებულოს გადაწყვეტილებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნა შემდეგი დართული მასალებით:

1. საკრებულოს ან გამგებლის ადმინისტრაციული აქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის შედგენილი დათვალიერების აქტი (ფოტო-მასალა, სიტუაციური აღწერილობა);

2. გვალვის შემთხვევაში მოსავლის განადგურების სხვა მიზეზის გამორიცხვის მიზნით დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი:

ა) ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის ცნობა სტიქიის შესახებ;

ბ) მიწის ნაყოფიერების დამადასტურებული დოკუმენტი (დასკვნა ნიადაგის გამოკვლევაზე, გაცემული

ლაბორატორიის მიერ, ნიადაგის ლაბორატორიული ტესტირება);

გ) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები;

დ) მოსავლის განადგურების პროცენტული მაჩვენებლის განსაზღვრის მიზნით ინფორმაცია ჩატარებული საკონტროლო ჭრის შესახებ (შესაძლებლობის შემთხვევაში).

3. საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით საკითხის შესასწავლად შესაძლოა მოითხოვნილ იქნეს სხვა დოკუმენტაციაც.

მუხლი 2

პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენის ვადად განისაზღვროს 20 კალენდარული დღე.